ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4925352001**
თარიღი:**18/12/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 17 დეკემბრის N48-4825351171 წერილი, რომელსაც თან ახლდა დადგენილების პროექტები. ვინაიდან წერილში დასმული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის, და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე–20 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025 წლის 19 დეკემბერს 12:00 საათზე მოწვეული იქნეს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხ. არჩილ ღიბრაძე, თანამ. ფატი გაგოშიძე/

2) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხ. არჩილ ღიბრაძე, თანამ. ფატი გაგოშიძე/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;
ბ) საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
გ) საკრებულოს ბიუროს წევრთა რეგისტრაცია 11 : 30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი